საქართველოს მთავრობის განკარგულება

№1182 2016 წლის 23 ივნისი ქ. თბილისი

თელავის მუნიციპალიტეტის სოფელ იყალთოში იყალთოს ხევის განვითარებისათვის ზოგიერთ ღონისძიებათა განხორციელების თაობაზე

1. „საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის „ი“, „კ“, „ს“ და „ტ“ ქვეპუნქტების საფუძველზე, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების, საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვისა და საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროებმა, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სისტემაში შემავალმა სსიპ - სახელმწიფო ქონების ეროვნულმა სააგენტომ და საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სისტემაში შემავალმა სსიპ - საჯარო რეესტრის ეროვნულმა სააგენტომ, კანონმდებლობით განსაზღვრული კომპეტენციის ფარგლებში, უზრუნველყონ, თელავის მუნიციპალიტეტის სოფელ იყალთოში მდებარე იყალთოს ხევის განვითარების შესაბამისი გეგმის/კონცეფციის შემუშავების მიზნით, ამ განკარგულებით გათვალისწინებული კვლევებისა და ღონისძიებების ჩატარება.

2. საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრომ უზრუნველყოს საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარებისა და საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროების, საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების - საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის, სსიპ - საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის, საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს სისტემაში შემავალი სსიპ - საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოსა და შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის“ წარმომადგენლებისაგან სამუშაო ჯგუფის შექმნა, თელავის მუნიციპალიტეტის სოფელ იყალთოში იყალთოს ხევისაკენ მისასვლელი საავტომობილო გზ(ებ)ისა და წყალმომარაგებისა და წყალარინების ინფრასტრუქტურის მდგომარეობის შესწავლის, საავტომობილო გზ(ებ)ის მდგომარეობის გაუმჯობესების/მშენებლობის, წყალმომარაგებისა და წყალარინების სისტემის რეაბილიტაციის/მშენებლობის და ტურისტული ინფრასტრუქტურის განვითარების საჭიროებების პირველადი შესწავლის მიზნით.

3. საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრომ, მის სისტემაში შემავალი დაწესებულებების მეშვეობით, საფონდო მასალებსა და ვიზუალურ შეფასებებზე დაყრდნობით, უზრუნველყოს:

ა) თელავის მუნიციპალიტეტის სოფელ იყალთოში იყალთოს ხევსა და მისკენ მისასვლელ გზებზე მეწყრული პროცესებისა და მათი გამომწვევი მიზეზების კვლევა და ქარის სტატისტიკური მახასიათებლების დადგენა;

ბ) საჭიროების შემთხვევაში, კომპეტენციის ფარგლებში, საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს

სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების - საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტისათვის დახმარების აღმოჩენა, ამ განკარგულების მე-2 პუნქტით გათვალისწინებული საჭიროებების განსაზღვრის მიზნით.

4. საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სისტემაში შემავალმა სსიპ - სახელმწიფო ქონების ეროვნულმა სააგენტომ და საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სისტემაში შემავალმა სსიპ - საჯარო რეესტრის ეროვნულმა სააგენტომ უზრუნველყონ თელავის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში განთავსებული, სოფელ იყალთოში იყალთოს ხევში მდებარე უძრავი ქონების კადასტრისა და მიწათმოწყობის ერთიანი სისტემის ორგანიზება, მიწის ნაკვეთების საკადასტრო მონაცემების სრულყოფის მიზნით, ხოლო თელავის მუნიციპალიტეტს ეთხოვოს, კომპეტენციის ფარგლებში, აღნიშნული ქმედებების განხორციელების ხელშეწყობა.

5. საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრომ უზრუნველყოს, ამ განკარგულებით განსაზღვრული შესაბამისი კვლევებისა და ღონისძიებების განხორციელების შემდგომ, თელავის მუნიციპალიტეტის სოფელ იყალთოში მდებარე იყალთოს განვითარების გეგმის/კონცეფციის შემუშავება.

6. საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს სისტემაში შემავალმა სსიპ - საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულმა სააგენტომ უზრუნველყოს იყალთოს ხევში არსებული კულტურული მემკვიდრეობის ობიექტების არქეოლოგიური-კვლევითი სამუშაოების დაგეგმვა და მათი ჩატარების კოორდინაცია.

7. ეთხოვოს თელავის მუნიციპალიტეტს, ამ განკარგულების მე-5 პუნქტით განსაზღვრული გეგმის/კონცეფციის შემუშავების დასრულების შემდგომ, სოფელ იყალთოს ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების

რეგულირების წესების დამტკიცება ან აღნიშნულ გეგმასთან/კონცეფციასთან შესაბამისობაში მოყვანა.

8. „საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის 29-ე მუხლის შესაბამისად, თელავის მუნიციპალიტეტის სოფელ იყალთოში იყალთოს ხევის განვითარების მიზნით, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების, საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის, საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის, საქართველოს სოფლის მეურნეობისა და საქართველოს ფინანსთა მინისტრების, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სისტემაში შემავალი სსიპ - სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოსა და საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სისტემაში შემავალი სსიპ - საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარეების, სსიპ - საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის ხელმძღვანელის, საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს სისტემაში შემავალი სსიპ - საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს გენერალური დირექტორისა და საქართველოს ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულებში - ახმეტის, გურჯაანის, დედოფლისწყაროს, თელავის, ლაგოდეხის, საგარეჯოს, სიღნაღის, ყვარლის მუნიციპალიტეტებსა და ქალაქ თელავში სახელმწიფო რწმუნებულის - გუბერნატორის შემადგენლობით შეიქმნას თელავის მუნიციპალიტეტის სოფელ იყალთოში იყალთოს ხევის განვითარების ხელშემწყობი კომისია (შემდგომში - კომისია).

9. ეთხოვოს თელავის მუნიციპალიტეტს ამ განკარგულების მე-8 პუნქტით განსაზღვრულ კომისიაში მონაწილეობის მიღება და შესაბამისი კომპეტენციის ფარგლებში, წარმომადგენლობის უზრუნველყოფა.

10. ამ განკარგულების მე-8 პუნქტით გათვალისწინებული კომისიის თავმჯდომარედ განისაზღვროს საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრი.

პრემიერ-მინისტრი გიორგი კვირიკაშვილი